ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს
2020 წლის 30 ივნისის სხდომის
ოქმი N6

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020 წლის 30 ივნისს ჩატარდა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

<u>დღის წესრიგი:</u>

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის არჩევნები.

ფაკულტეტის საბჭოს სიითი შემადგენლობის 39 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 36. დეკანის არჩევნების პროცედურის მიხედვით კვორუმი შეადგენს სიითი შემადგენლობის 2/3-ს, ანუ 26 კაცს. კვორუმი შედგა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს მდივანმა, ასისტენტ პროფესორმა თინათინ დავითაშვილმა. მან საბჭოს წევრებს აცნობა, რომ თსუ აკადემიური საბჭოს №54/2016 დადგენილებით დამტკიცებული ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებული საარჩევნო პროცედურის თანახმად, თუ ფაკულტეტის დეკანი არის დეკანობის კანდიდატი, მას არა აქვს სხდომის თავმჯდომარეობის უფლება და ფაკულტეტის საბჭოს სხდომის თავმჯდომარეს სხდომის დაწყებისთანავე ორჩევს ფაკულტეტის საბჭო.

ასოც. პროფესორმა თ.დავითაშვილმა საბჭოს წევრებს შესთავაზა დაესახელებინათ სხდომის თავმჯდომარის კანდიდატურა. დასახელდა პროფესორ ნოდარ ელიზბარაშვილის კანდიდატურა. ქ-მა თ.დავითაშვილმა კენჭი უყარა დასახელებულ კანდიდატურას. პროფესორი ნოდარ ელიზბარაშვილმა ერთხმად აირჩიეს სხდომის თავმჯდომარედ.

ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე წარდგენილი იყო ორი კანდიდატურა:

- ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი;
- ასოცირებული პროფესორი მიხეილ ამაღლობელი.

კანდიდატების შესახებ ინფორმაცია იყო საჯარო და წინასწარ იყო ატვირთული ფაკულტეტის ვებ-გვერდზე.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, ასოცირებული პროფესორმა ნოდარ ელიზბარაშვილმა აღნიშნა, რომ პროცედურის მიხედვით საჭიროა საარჩევნო კომისიის არჩევა 5 წევრის - 3 პროფესორისა და 2 სტუდენტის შემადგენლობით და სთხოვა საბჭოს წევრებს დაესახელებინათ კანდიდატურები.

საბჭოს წევრებმა საარჩევნო კომისიის წევრებად დაასახელეს შემდეგი კანდიდატურები:

1. ომარ მუკბანიანი, პროფესორი
2. დიანა ძიძიგური, პროფესორი
3. ნანა შათაშვილი, პროფესორი
4. ლუკა ონიანი, სტუდენტი
5. თორნიკე გოგრიჭიანი, სტუდენტი.

სხდომის თავმჯდომარემ სათითაოდ უყარა კენჭი საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატებს.

კენჭისყრის შედეგები: საარჩევნო კომისიის ყველა წევრი არჩეულ იქნა ერთხმად.

დაადგინეს: საარჩევნო კომისიის წევრებად არჩეულნი არიან ფაკულტეტის საბჭოს შემდეგი წევრები:

1. ომარ მუკბანიანი, პროფესორი
2. დიანა ძიძიგური, პროფესორი
3. ნანა შათაშვილი, პროფესორი
4. ლუკა ონიანი, სტუდენტი
5. თორნიკე გოგრიჭიანი, სტუდენტი.

საარჩევნო კომისიის არჩევის შემდეგ პროფ. ნანა შათაშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო დეკანის არჩევის პროცედურა.

საარჩევნო კომისიის წევრებმა საბჭოს წევრების თანდასწრებით შეამოწმეს საარჩევნო ბიულეტენებისთვის განკუთვნილი ყუთი და დალუქეს. შემდეგ კი დაითვალეს საარჩევნო ბიულეტენები.

14-დან 17 საათამდე ჩატარდა არჩევნები. ყველა პროცედურა ჩატარდა საბჭოს წევრთა თანდასწრებით.

საარჩევნო კომისიის წევრმა ნანა შათაშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო არჩევნების შედეგები:

- პროფესორმა რამაზ ხომერიკმა მიიღო 34 ხმა;
- პროფესორმა მიხეილ ამაღლობელმა მიიღო 2 ხმა;
- ბათილად გამოცხადდა 0 ბიულეტენი.

ოქმს დანართის სახით ერთვის საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმი.

დაადგინეს: საარჩევნო კომისიისგან მიღებულ იქნეს ცნობად ინფორმაცია, რომ ფაკულტეტის დეკანად არჩეულ იქნა ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი (იხ. დანართი - საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმი).

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
პროფესორი ნოდარ ელიზბარაშვილი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასისტენტ პროფესორი თინათინ დავითაშვილი